ხევისბერობა მთაში და მისი დღევანდელი სვე ბედი

ჯერჯერობით გამორკვეული არ არის დღევანდელი ხევისბერი ვის მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს: წარმართობის დროინდელი მოგვისა თუ მღვდლისა, როგორც ქრისტიანობის წარმომადგენელისა. არ იქნება სიმართლეს მოკლებული ვსთქვათ ისა, რომ მღვდელობა, ვიდრე მიიღებდა იმ ფორმას, რაც მას დღესა აქვს შენარჩუნებული, უნდა ყოფილიყო სადა და მარტივი, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, იგივე მოგვობა.

ადამიანმა შეიძლება ისიც იფიქროს, ვითომც ხევისბერებს დაეჭიროსთ მღვდლების ადგილი, როცა ერი მოკლებული იყო ნამდვილს მღვდელს, მოძღვარს, მწიგნობარს და მათი მაგიერობის გაწევა დაეწყოთ თავისებურის ლოცვა-დიდებით და ,,დამწყალობნებით''. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, როცა ხალხში შეუძლებელი გახდებოდა პოვნა ნამდვილი მომზადებული სამღვდელო, საეკლესიო წესების მცოდნე პირისა. ეს კი როგორღაც დაუჯერებელი ამბავია. საქართველოში იმდენი მონასტერი იყო, საცა ამზადებდენ სამღვდელო პირებს, რომ ნაკლულობის თქმა ამ შემთხვევაში დანაშაული იქნება ჩვენის მხრით.

ხევისბერობა სულ სხვა ნიადაგზეა აღმოცენებული; იგი განკერძოებული მოვლენაა, და, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მოძღვრება,- გამომხატველი მაცხოვრის მცნებისა-საცა სახელითა ჩემითა შეკრბენ ორნი და სამნი, მე მათ შორისა ვარო, ხევისბერის წირვა-ლოცვას არ ეჭირება ეკლესია, იგი სწარმოებს პირდაპირ ცის ქვეშ, რამდენიმე იფნის ხით დაჩრდილულს მდელოზე. იმ ადგილას, სადაც ხატობა იმართება ხევისბერის მეთაურობით, ეკლესია არც კი უნდა იყოს.

სასულიერო, მთვრობამ ბევრ ადგილას, საცა ხატობა, დღეობა იმართება, საყდრები ააშენა ფშავში და ხევსურეთში, მაგრამ ხალხი მაინც გაურბის საყდარს და სანთლის დანთება ურჩევნია სადმე იქვე, იმ წმიდა ადგილის მიდამოში, რომ ჰკითხოთ ხალხს: ეკლესიას რად გაურბიხართო, პასუხი ერთი იქნება: ,,ჩვენ ღირსნი არა ვართ გავაუწმინდუროთ ჩვენის შესვლით საყდრის სიწმინდეო''. ამ აზრს ადგია უფრო მდედრობითი სქესი.

ხევისბერი ჩაცმა-დახურვით, განათლებით არაფრით არ განირჩევა სხვა ხალხიდან, იმ ხატს, რომელსაც ხევისბერი ემსახურება, მაგ. წმიდა-გიორგის, არა აქვს სახიერება, ვისაც როგორც უნდა ისე გამოიხატოს გონებაში, თავის ფანტაზიაში. ამ ათის წლის წინად ვერც ერთს ხატში ვერ იპოვიდით (სურათს) ღვთიშობლისაში-ღვთიშობლის ხატს, მთავარანგელოზში-მთავარანგელოზს და სხვ. მხოლოდ ბოლო ხანებში ამ წმინდა ადგილების შეურაცხყოფამ, რომელიც მომდინარეობს სასულიერო მთავრობიდან და გამოიხატება სამდურავში- ,,აბა რასა ჰლოცულობთ ცარიელს ლოდებსო, კერპთთაყვანისმცემლები ხართო'' აიძულა ხევისბერები დაესვენებინათ თავ-თავიანთ სალოცავებში იმ წმინდანების სურათები, სადაც რომელი წმინდანის ნიშიც არის.

ეჭვი არ არის. რომ ეს მდაბიოდ, მდაბიო ადგილას ვედრება ღვთისა, შეიცავს პროტესტს ეკლესიურ ღვთის სამსახურების და მღვდლების წინააღმდეგ.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u>

ქ.თბილისი N 10 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ოთო მაგრაქველიძემ**